განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის საკონცერტო დარბაზის(500 მაყურებელზე) ესკიზური პროექტი შესრულდა № 842 საკონკურსო განცხადების საფუძველზე საკონცერტო დარბაზის შენობა განთავსებულია დუმბაძისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე. საქალაქო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნაგებობის გაბარიტებია 52.9მX34.0მ-ზე. მისი სიმაღლეა 15.10მ მოშენების ფართი1350.5კვ.მ

საკონცერტო დარბაზის პირველ სართულზე გეგმარების შესაბამისად განთავსდა შემდეგი სათავსები : სამაყურებლო დარბაზი 500 კაცზე, ფოიე,დერეფნები,სალაროები,სარეპეტიციო 50 კაცზე,მბრუნავი სცენა ეკრანით, დეკორაციების საწყობი,გარდერობი, სანკვანძები,მომრერალთა სარეპეტიციო,გასახდელები ქალთა და მამაკაცთა, ინსტრუმენტებისა და ფორმის საწყობი, კაფე ბარი,საევაკუაციო გასასვლელები და კიბეები.

2 სართულზე განთავსდა დირექცია, თეატრის დასი, ბუღალტერია, საგრიმიოროები, ქორეოგრაფიული სტუდია, თეატრის მუზეუმი,სანკვანძები. მეორე სართული დაკავშირებულია პირველთან და სარდაფის სართულთან საევაკუაციო გასასვლელებისა და კიბეების საშუალებით. რომელებიც განლაგებულია შენობის სამივე მხარეს და გადის კეთილმოწყობილი მიმდებარე ტერიტორიაზე რომელიც იმავდროულად არის სკვერი სემოღობილი ტანმედროვე სადა ფორმის ღობიტ განათების ჩანართებით.

კონსტრუქციულად შენობა ძირითადად რკინა ბეტონისა და მეტალის კონსტრუქციებისაგან შედგება, საძირკველი წერტილოვანია,კედლები წვრილი საკედლე ბლოკებისაგან ამოყვანილი პირველი სართულის გადახურვა მონოლითური ფილაა ორმაგი არმირებით,სამაყურებლო დარბაზი და სასცენო ნაწილის გადახურვა მოეწყობა მეტალის ფერმებზე მეტალოკრამიტის და პროფილირებული ნასტილისაგან.

კარ ფანჯრები,ვიტრაჟები რომლებიც ფასადზე გადიან დამზადდება ალუმინისაგან ორმაგი დაბურული მინაპაკეტებით .

პროექტით გათვალისწინებულია შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. გარე განათების.საფეხმავლო ბილიკებისა და მწვანე ნარგავების,საპარკო სკამებისა და მცირე არქიტექტურული ელემენტებისჩანართებით, აგრეთვე მოეწყობა ავტოსადგომი 20 მანქანაზე.

შენობის არქიტექტურული იერსახე გადაწყვეტილია ორიგინალურ სტილში, თანამედროვე არქიტექტურული სტანდარტების შესაბამისად. საპროექტო ჯგუფი იმედოვნებს რომ ასეთი საკონცერტო დარბაზის აშენებით ახალი იმპულსი მიეცემა დასახლებული პუნქტის ცენტრს, და იგი თავისი არსებობით დიდ წვლილს შეიტანს ახალგაზრდობის, მომავალი თაობისა და მთელი ადგილობრივი საზოგადოების სუკიერ, მატერიალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

გ. მინდილაია
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი